

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ვახტის და შრომის უსაფრთხოების  
უზრუნველყოფის განყოფილების დებულება

Regulation for the Watchkeeping and Labor Security Provision Department

წინასიტყვაობა

1. შემუშავებულია – ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი რუსუდან დიასამიძის და იურიდიული განყოფილების უფროსი გიორგი დიასამიძის მიერ;
2. დამტკიცებულია – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის რექტორის მიერ (2021 წლის 27 ივლისის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N18);
3. მოქმედებაშია – დამტკიცების დღიდან;
4. პერიოდული შემოწმება – წარმოებს შემუშავებლის მხრიდან არაუმეტეს 12 თვის ინტერვალისა;
5. ცვლილებები – ცვლილებათა შეტანა წარმოებს არსებული დებულების გამოყენების შედეგებით ან ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნების ცვლილებებისას, რომლის საფუძველზეც შემუშავდება დებულება.
6. არსებული დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების (ვერსიის) დამტკიცების შემთხვევაში



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ვახტის და შრომის უსაფრთხოების  
უზრუნველყოფის განყოფილების დებულება

Regulation for the Watchkeeping and Labor Security Provision Department

დებულებაში ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

ცირკულარული წერილის N (ცვლილებათა შეტანის შესახებ)	დამტკიცების თარიღი	შეცვლილი პუნქტები (გვერდები)	პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ვახტის და შრომის უსაფრთხოების  
უზრუნველყოფის განყოფილების დებულება

Regulation for the Watchkeeping and Labor Security Provision Department

შინაარსი

1. გავრცელების სფერო .....	5
2. ნორმატიული მითითებები .....	5
3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები .....	5
4. ზოგადი დებულება .....	6
5. განყოფილების ამოცანები და ფუნქციები .....	6
6. შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა .....	7
7. განყოფილების თანამშრომლების თანამდებობრივი ინსტრუქციები .....	7
8. საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე მორიგეობის ინსტრუქცია .....	10
9. პროფესიული სტუდენტების მორიგეობა.....	12
10. შემოწმება და კონტროლი .....	13



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ვახტის და შრომის უსაფრთხოების  
უზრუნველყოფის განყოფილების დებულება

Regulation for the Watchkeeping and Labor Security Provision Department

### 1. გავრცელების სფერო

- 1) წინამდებარე დებულება წარმოადგენს შინაგანაწესის, ვახტის და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილების დებულებას, რომელიც განსაზღვრავს განყოფილების საქმიანობის მიმართულებას, ფუნქციებს და ამოცანებს;
- 2) დებულება ვრცელდება და წარმოადგენს ნორმატიულ დოკუმენტს ბუსსს ანრის შინაგანაწესის, ვახტის და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომლებისათვის;
- 3) დებულების აღრიცხული ეგზემპლარი ინახება ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურში (როგორც ელექტრონული ასევე მყარი ვერსია), ელექტრონული ვერსია განთავსებულია სასწავლებლის შიდა ქსელში და ვებგვერდზე, საკონტროლო ეგზემპლარი ინახება ბუსსს ანრის შინაგანაწესისა და ვახტის უზრუნველყოფის განყოფილებაში.
- 4) წინამდებარე დებულების დასაგზავნი ეგზემპლარების მომზადება და დაგზავნა ხდება საჭიროებისამებრ ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

### 2. ნორმატიული მითითებები

- 2.1 წინამდებარე დებულების მომზადებისას გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები:
1. სს ISO 9001:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. მოთხოვნები;
  2. სს ISO 9000:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. ძირითადი დებულებები და ლექსიკონი;
  3. ნდ №2-010101 შპს ბუსსს ანრის წესდება;
  4. ნდ N2-020101 – შპს ბუსსს ანრის ხარისხის სახელმძღვანელო
  5. შპს ბუსსს ანრის მისია;
  6. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
  7. საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ;
  8. საქართველოს კანონი „მეზღვაურთა განათლებისა და სერთიფიცირების შესახებ“;
  9. საქართველოს ორგანული კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ;
  10. ნდ 2-0201-01- დოკუმენტთა და მონაცემთა მართვის პროცედურა

### 3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები

არსებულ დებულებაში გამოყენებულია შემდეგი ტერმინები, განმარტებები და შემოკლებები:

#### 3.1 ტერმინები, განმარტებები

- 1) **ნორმატიული დოკუმენტი (ნდ)**, - რომელიც ადგენს წესებს, საერთო პრინციპებსა და მახასიათებლებს გარკვეული მოღვაწეობის სფეროსათვის.
- 2) **დოკუმენტის პერიოდული შემოწმება** არის ქმედება, რომელიც ითვალისწინებს ნორმატიული დოკუმენტის გადამოწმებას მასში შესაძლო ცვლილებების შეტანის მიზნით;
- 3) **შიდა მოქმედი დოკუმენტი** - (ნორმატიული და საინფორმაციო) ბუსსს ანრის ქვედანაყოფებში შემუშავებული დოკუმენტი.
- 4) **დოკუმენტის აღრიცხული ეგზემპლარი** - შიდა და გარე ნორმატიული დოკუმენტი რომელსაც გააჩნია აღრიცხული ნომერი და გავრცელების სფეროს შესაბამისად დაგზავნება შესაბამის განყოფილებებში.
- 5) **კონფიდენციალობა** - საიდუმლო ან განდობილი ინფორმაციის შენახვა-გაუმჟღავნებლობა, რაც განისაზღვრება სათანადო მოქმედი დოკუმენტით.  
შენიშვნა: კონფიდენციალობის დარღვევა ისჯება მოქმედი კანონდებლობის და სხვა რეგლამენტირებული აქტებით.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ვახტის და შრომის უსაფრთხოების  
უზრუნველყოფის განყოფილების დებულება

Regulation for the Watchkeeping and Labor Security Provision Department

- 6) განყოფილების დებულება - ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს განყოფილების სტატუსს, საქმიანობის მიმართულებას, განყოფილების ფუნქციებს და ამოცანებს, განყოფილების უფროსის დანიშვნის წესს, მოვალეობებს, პასუხისმგებლობას და უფლებებს.
- 7) თანამდებობრივი ინსტრუქცია - ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს თანამდებობრივ პირთა დანიშვნას, კვალიფიკაციის მოთხოვნებს და მათ ვალდებულებებს, უფლებებს, პასუხისმგებლობებს.
- 8) პერსონალი - ბუსსს ანრის საშტატო და მოწვეული თანამშრომლები, პროფესიული მასწავლებელი, ინსტრუქტორები
- 9) პროფესიული სტუდენტი - პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები
- 10) მსმენელი - მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში მოკლევადიან კურსებზე ჩარიცხული პირი

3.2 შემოკლებები

- 1) ბუსსს ანრი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი (ტექსტში ასევე შეიძლება შეგვხდეს, როგორც **სასწავლებელი**)
- 2) ნდ - ნორმატიული დოკუმენტი
- 3) ISO - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია


4. ზოგადი დებულება

ვახტის და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილება წარმოადგენს ბუსსს ანრის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს და ექვემდებარება გენერალურ დირექტორს. განყოფილება თავის საქმიანობას აწარმოებს შპს ბუსსს ანრის წესდების, შინაგანაწესის, ხარისხის სახელმძღვანელოსა და წინამდებარე დებულების საფუძველზე. განყოფილება თავის საქმიანობაში მოქმედებს და იცავს შპს ბუსსს ანრის ინტერესებს და მიზნებს მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე.

5. ვახტის და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილების ამოცანები და ფუნქციები

შინაგანაწესის, ვახტის და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილების ამოცანები და ფუნქციები:

- 1) უზრუნველყოს ბუსსს ანრის შინაგანაწესით დადგენილი ნორმების დაცვა;
- 2) უზრუნველყოს ბუსსს ანრის შენობა-ნაგებობების და სასწავლებლის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების დაცვა;
- 3) უზრუნველყოს შენობაში ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვა, შეიმუშაოს ღონისძიებები სახანძრო უსაფრთხოების განმტკიცებისათვის, სახანძრო ინვენტარის და ტექნიკური საშუალებების პერიოდული განახლების გათვალისწინებით;
- 4) უზრუნველყოს ბუსსს ანრის თანამშრომლების სამუშაოზე გამოცხადებისა და სამუშაოს დატოვების კონტროლი, აღრიცხვა;
- 5) უზრუნველყოს ბუსსს ანრის დაცვის თანამშრომლების მორიგეობის გადანაწილება, მათი მუშაობის კონტროლი;
- 6) უზრუნველყოს ბუსსს ანრის ტერიტორიაზე შემომსვლელ პირთა აღრიცხვა;
- 7) უზრუნველყოს ბუსსს ანრის ტერიტორიის მეთვალყურეობა;
- 8) უზრუნველყოს პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა ადაპტაცია სასწავლო გარემოსთან, გააცნოს მათ სასწავლებლის შინაგანაწესი, მისიას, ეთიკის კოდექსი.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ვახტის და შრომის უსაფრთხოების  
უზრუნველყოფის განყოფილების დებულება

Regulation for the Watchkeeping and Labor Security Provision Department

- 9) უზრუნველყოს შპს ბუსსს ანრის პროფესიული სტუდენტების განაწილება ვახტის გასაწევად (მორიგეობაზე), შედგენილი და დამტკიცებული ვახტაზე სტუდენტების მორიგეობის წესებისა და ინსტრუქციების შესაბამისად;
- 10) მიიღოს აქტიური მონაწილეობა პროფესიულ სტუდენტთა აღმზრდელობით, კულტურულ-მასობრივ ღონისძიებებში;
- 11) გააკონტროლოს პროფესიული სტუდენტების დისციპლინა;
- 12) უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების მომზადება ფიცის მიღებისთვის და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობისათვის;
- 13) უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების წვრთნა მოწყობებისთვის და საზეიმო მსვლელობებისთვის;
- 14) კანონმდებლობით განსაზღვრულ და ხელმძღვანელობის მიერ გაცემული სხვადასხვა დავალებების, განკარგულებების განხორციელება.
- 15) უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა.
- 16) განახორციელოს სასწავლებლის პერსონალის, პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელების მიერ უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვის კონტროლი.

## 6. შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა

შინაგანაწესის, ვახტის და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილება ვალდებულია დაიცვას შრომის უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი მარეგულირებელი ნორმები და წესები, მათ შორის

- 1) იზრუნოს, დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირებს უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას ზიანი არ მიადგეს;
- 2) უზრუნველყოს, ფიზიკურმა, ქიმიურმა და ბიოლოგიურმა საფრთხის შემცველმა ფაქტორებმა სასწავლებლის პერსონალის, პროფესიული სტუდენტების, მსმენელების და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას საშიშროება არ შეუქმნას;
- 3) უზრუნველყოს სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევების რეგისტრაცია, მოკვლევა და ანგარიშგება;
- 4) წელიწადში არა ნაკლებ ორისა ჩაატაროს ხანძარსაწინააღმდეგო ტრენინგები.

## 7. ვახტის და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომლების თანამდებობრივი ინსტრუქცია

შინაგანაწესის, ვახტის და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილებაში სამტატო განრიგის შესაბამისად დაშვებულია შემდეგი პოზოცოები:

- 1) შინაგანაწესის, ვახტის და შრომის უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი
- 2) შრომის უსაფრთხოების მენეჯერი

განყოფილების თანამშრომლები ინიშნება და თავისუფლდება გენერალური დირექტორის ბრძანებით. საჭიროებისამებრ შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორი დამატებით ნიშნავს დამხმარე პერსონალს.

### 7.1 ვახტის და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი

#### მოვალეობები:

1. უზრუნველყოს ბუსსს ანრის შინაგანაწესით დადგენილი ნორმების დაცვა;
2. უზრუნველყოს ბუსსს ანრის შენობა-ნაგებობების და სასწავლებლის ბალანსზე არსებული მატერიალური ფასეულობების დაცვა



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ვახტის და შრომის უსაფრთხოების  
უზრუნველყოფის განყოფილების დებულება

**Regulation for the Watchkeeping and Labor Security Provision Department**


3. უზრუნველყოს ბუსსს ანრის თანამშრომლების სამუშაოზე გამოცხადებისა და სამუშაოს დატოვების კონტროლი, აღრიცხვა;
4. უზრუნველყოს ბუსსს ანრის დაცვის თანამშრომლების მორიგეობის გადანაწილება, მათი მუშაობის კონტროლი;
5. უზრუნველყოს ბუსსს ანრის ტერიტორიაზე შემომსვლელ პირთა აღრიცხვა;
6. უზრუნველყოს ბუსსს ანრის ტერიტორიის მეთვალყურეობა;
7. გააკონტროლოს პროფესიული სტუდენტების დისციპლინა, გაცდენები, დაგვიანებები (საკაპტოო თუ არასაკაპტოო მიზეზით) ვახტაზე დგომის წესრიგი;
8. ჩაუტაროს პროფესიულ სტუდენტებს აღმზრდელობითი გასაუბრებები, დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში დაიბაროს სტუდენტის მშობელი, შედეგები მოახსენოს სასწავლო განყოფილების უფროსს;
9. მნიშვნელოვანი დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში გააკეთოს მოხსენება გენ.დირექტორის სახელზე;
10. ყოველდღიურად შეამოწმოს პროფესიული სტუდენტის ვახტაზე დგომა;
11. დისციპლინის შემოწმების მიზნით თვალყური ადევნოს პროფესიული სტუდენტის ქცევებს;
12. რაიმე შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში მოახდინოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება მათ აღმოსაფხვრელად;
13. უზრუნველყოს ვახტაზე დგომისა და მორიგეობის განრიგი;
14. მოითხოვოს ყოველდღიური მორიგეობა აუდიტორიებში;
15. თავისი მუშაობის პროცესში დაიცვას ხარისხის მართვის სისტემის მოთხოვნები;
16. გააკონტროლოს შრომის და სახანძრო უსაფრთხოება დაცვა;
17. გააკონტროლოს სახანძრო განგაშების ჩატარება და ამისთვის სასწავლებლის პერსონალისა და სტუდენტების მომზადების პროცესი;
18. ყოველი კვირის ბოლოს მოახსენოს გენ.დირექტორს ბუსსს ანრიში არსებული საერთო მდგომარეობა;
19. შეიმუშაოს ვახტაზე დგომის განრიგი და გააკონტროლოს პროფესიული სტუდენტის ვახტაზე დგომა;
20. გააკონტროლოს თანამშრომლების სამსახურში გამოცხადების პროცესი;
21. გააკონტროლოს საკონტროლო პუნქტზე არსებული სარეგისტრაციო ჟურნალების წარმოების წესი;
22. ექვს თვეში ერთხელ ხარისხის სამსახურს წარუდგინოს ანგარიშსწორება მის განყოფილებაში მიმდინარე სამუშაო პროცესის შესახებ, ხოლო ყოველი წლის ნოემბრის ბოლოს წარუდგინოს წლიური ანგარიშსწორება.

**შენიშვნა:** სხვა სამსახურებრივი მოვალეობები, პასუხისმგებლობა და უფლებები აღინიშნება ფუნქციონალურ მოვალეობებში ნდ ნდ 2-010201/45.

## 7.2 შრომის უსაფრთხოების მენეჯერი

### მოვალეობები:

1. სასწავლებელში დანერგილი უსაფრთხოების სტანდარტების აღსრულება;
2. სამუშაოებზე დაკვირვების წარმოება და წინადადებების ინიცირება შრომის უსაფრთხოების სტანდარტების გასაუმჯობესებლად;
3. სასწავლებლის კუთვნილ ობიექტზე მომუშავეების მიერ უსაფრთხოების ნორმების დაცვის ინსპექტირება;
4. ინციდენტების აღმოჩენის შემთხვევაში შესაბამისი ღონისძიებების გატარება და ჩანაწერების წარმოება;



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**ვახტის და შრომის უსაფრთხოების  
უზრუნველყოფის განყოფილების დებულება**

**Regulation for the Watchkeeping and Labor Security Provision Department**


5. საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლებისთვის ინსტრუქტაჟის ჩატარება მათ სამუშაო ადგილზე;
  6. შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემუშავება, ჩანაწერების და რეპორტინგის წარმოება;
  7. საგანგებო სიტუაციების პრევენცია და მათზე რეაგირება (საგანგებო სიტუაციებისგან სასწავლებლის ტერიტორიისა და იქ მყოფთა დაცვის უზრუნველსაყოფად შესაბამისი მიზნობრივი პროგრამების შემუშავება);
  8. სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საორგანიზაციო ღონისძიებების განხორციელება (სახანძრო უსაფრთხოების ზომების შემუშავება, მათ შორის სასწავლებლის სარგებლობაში არსებულ ტერიტორიაზე მომხდარი ხანძრების სამსახურებრივი მოკვლევის ორგანიზება; ხანძრების თავიდან აცილების და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეკეთების, მოვლა-პატრონობის და ტექნიკური მომსახურების ორგანიზების უზრუნველყოფა; თანამშრომლებისათვის სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლების ორგანიზება და ჩატარება ხანძრის გაჩენის შემთხვევაში მათი მზადყოფნის უზრუნველყოფის მიზნით);
  9. შენობა-ნაგებობების საინჟინრო მოწყობილობების მონტაჟისა და ექსპლუატაციის გამართულობის, მათ შორის ცენტრალური გათბობის სისტემების საინჟინრო-ტექნიკური დათვალიერების უზრუნველყოფა და ტექნიკურ გამართულობაზე კონტროლის უზრუნველყოფა;
  10. ელექტრომომარაგების, ხანძარსაწინააღმდეგო, წყალმომარაგების, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მოწყობილობებისა და სისტემების უსაფრთხო მუშაობისა და ექსპლუატაციის უზრუნველყოფა;
  11. სასწავლებლის სარგებლობაში არსებული ტერიტორიის, შენობა-ნაგებობების და სათავსების მოვლა-პატრონობა, საევაკუაციო გზებისა და გასასვლელების მდგომარეობის, გადარჩენის ინდივიდუალური და ჯგუფური საშუალებების არსებობისა და გამართულობის უზრუნველყოფა;
  12. სასწავლებელში არსებული ნივთიერებების, მასალების, ნაკეთობებისა და დანადგარების, მათ ტექნიკურ დოკუმენტაციაში ხანძარსაშიშროების მაჩვენებლების შესახებ ცნობების აღრიცხვა და გამოყენებისას სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე ზედამხედველობა;
  13. დაცვის ტექნიკური საშუალებების (ვიდეომეთვალყურეობის და სასიგნალიზაციო) ფუნქციონირების მონიტორინგი;
  14. ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის (სახანძრო ონკანების, ცეცხლმაქრების და სხვა ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების) მუდმივად გამართულ მდგომარეობაში არსებობის უზრუნველყოფა;
  15. სასწავლებლის შენობებში თამბაქოს მოწევის წესების დაცვის ზედამხედველობა
- შენიშვნა:** სხვა სამსახურებრივი მოვალეობები, პასუხისმგებლობა და უფლებები აღინიშნება ფუნქციონალურ მოვალეობებში ნდ 2-010201/31.

**8. საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე მორიგეობის ინსტრუქციები**

შინაგანაწესის, ვახტის და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილება მოიცავს ბუსსს ანრის საკონტროლო-გამშვებ პუნქტს, სადაც მიმდინარეობს თანამშრომლების და გარეშე პირების სასწავლებლის ტერიტორიაზე შემოსვლა-გასვლის აღრიცხვა, ასევე სტუდენტების სტუდენტის მორიგეობა, ვახტაზე დგომის სწავლება.

**8.1 საკონტროლო-გამშვები პუნქტის მორიგის ინსტრუქცია**





შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი


ვახტის და შრომის უსაფრთხოების  
უზრუნველყოფის განყოფილების დებულება

**Regulation for the Watchkeeping and Labor Security Provision Department**

- 1) საკონტროლო-გამშვები პუნქტის მორიგე ინიშნება ბრძანებით, დანიშნული დაცვის სამსახურის შემადგენლობიდან (ცალკეული გრაფიკის მიხედვით). იგი ექვემდებარება სასწავლებლის გენერალურ დირექტორს, ვახტის და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსს.
- 2) მორიგე პასუხს აგებს და ვალდებულია ზუსტად შეასრულოს შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ბრძანება „სასწავლებელში ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარების შესახებ“, კერძოდ საკონტროლო-გამშვები პუნქტის მორიგის ინსტრუქცია სასწავლებელში ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარების შესახებ.
- 3) მორიგე პასუხს აგებს და ვალდებულია გააკონტროლოს სასწავლებლის ტერიტორიაზე შემოსულ პირთა დაშვება, ზემოხსენებულ ადმინისტრაციულ პირთა ნებართვის გარეშე რაიმე ქონების, აკრძალული ნივთების შემოტანა-გატანა, შემოზიდვა-გაზიდვა. აგრეთვე პასუხს აგებს საკონტროლო-გამშვები პუნქტის ოთახში და სასწავლებლის მთელ ტერიტორიაზე სისუფთავის დაცვაზე, მოწვევისთვის განკუთვნილ ადგილებში სიგარეტის მოწვევაზე, საკონტროლო-გამშვები პუნქტის ოთახში გარეშე პირთა შესვლაზე.
- 4) მორიგე აკონტროლებს და აკეთებს შესაბამის ჩანაწერებს შპს ბუსსს ანრის თანამშრომლების სამსახურში დროულად გამოცხადებისა და სამსახურიდან გასვლის შესახებ.
- 5) მორიგე პასუხისმგებელია ბუსსს ანრის კაბინეტების, აუდიტორიების გასაღების შენახვაზე და საჭიროებისამებრ მათ გაცემა-მიღებაზე.
- 6) მორიგე აწარმოებს ბუსსს ანრის ტეროტორიაზე განათების დროულად ჩართვა-გამორთვას. პასუხისმგებელია შპს ბუსსს ანრის მთავარი კორპუსის წყლით მომარაგებაზე.
- 7) მორიგე აკონტროლებს მორიგის თანაშემწეების მიერ მოვალეობების სწორად წარმართვას.
- 8) მოთხოვნისამებრ აწვდის ინფორმაციას ბუსსს ანრის გენერალურ დირექტორს მათ არ ყოფნის პერიოდში ბუსსს ანრიში მომხდარი შემთხვევების შესახებ.
- 9) საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე მორიგეობის დროს მორიგეს აქვს მორიგის ნიშანი. მორიგეობის დატოვების შესახებ მორიგე ვალდებულია აცნობოს ვახტის გაწვევისა და შინაგანაწესის უზრუნველყოფის განყოფილების უფროსს. მორიგეობის დროებით დატოვების შემთხვევაში მორიგე თავის ადგილზე ტოვებს მის თანაშემწეს.
- 10) მორიგეობა გრძელდება 24 საათის განმავლობაში (1 საათიანი შესვენებით, შუადღეს). მორიგეობა წარმოებს შენაცვლებით (2,3 ან 4 დღეში ერთხელ).
- 11) ღამის განმავლობაში მორიგე აწარმოებს შპს ბუსსს ანრის ტერიტორიის შემოვლას.
- 12) მორიგეობის მიღება-ჩაბარება აღინიშნება შესაბამის წიგნში.
- 13) არსებული ინსტრუქციას ადგენს შინაგანაწესისა და ვახტის უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.
- 14) არსებული ინსტრუქცია, ამონაწერის სახით, რომელსაც მინიჭებული აქვს მოქმედი ფორმის ნომერი და დამტკიცებულია გენერალური დირექტორის მიერ გამოკრულია საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე თვალსაჩინო ადგილზე.
- 15) ინსტრუქციის განახლება ხდება საჭიროებისამებრ შინაგანაწესისა და ვახტის უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის მიერ.
- 16) თუ ინსტრუქციაში არ ხდება რაიმე ცვლილების შეტანა, ამონაწერის აუცილებელი გადახედვა/განახლება ხდება 3 წელიწადში ერთელ.

**8.2 საკონტროლო-გამშვები პუნქტის მორიგის თანაშემწის ინსტრუქცია**

- 1) საკონტროლო-გამშვები პუნქტის მორიგის თანაშემწე ინიშნება შპს ბუსსს ანრის პროფესიულ სტუდენტთა შემადგენლობიდან.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ვახტის და შრომის უსაფრთხოების  
უზრუნველყოფის განყოფილების დებულება


Regulation for the Watchkeeping and Labor Security Provision Department

- 2) საკონტროლო გამშვები პუნქტის მორიგის თანაშემწე ექვემდებარება საკონტროლო-გამშვები პუნქტის მორიგეს.
- 3) მორიგის თანაშემწე პასუხს აგებს სასწავლებლის ტერიტორიაზე შემოსულ პირთა დაშვებაზე, საკონტროლო გამშვები პუნქტის მორიგის ან შპს ბუსსს ანრის ხელმძღვანელობის ნებართვის გარეშე რაიმე ქონების, აკრძალული ნივთების შემოტანა-გატანა, შემოზიდვა-გაზიდვაზე.
- 4) საკონტროლო გამშვები პუნქტის მორიგის თანაშემწე ვალდებულია:
  - ✓ შეამოწმოს შპს ბუსსს ანრის თანამშრომელთა საშვები;
  - ✓ შესაბამის წიგნში აღნიშნოს თანამშრომლების სამსახურში გამოცხადებისა და სამსახურიდან წასვლის დრო;
  - ✓ გარეშე პირებზე გასცეს შპს ბუსსს ანრის ტერიტორიაზე დაშვების საშვი და მათი დაშვება აღნიშნოს შესაბამის წიგნში;
  - ✓ ყურადღებით დაათვალიეროს შპს ბუსსს ანრის ტერიტორიიდან გამავალი პირები, რათა დარწმუნდეს, რომ მათ არ გააქვთ რაიმე ნივთი თუ ქონება;
  - ✓ არ გაატაროს შპს ბუსსს ანრის პროფესიული სტუდენტი (მსმენელი) ნებართვის გარეშე, ან თუ ლექციები არაა დასრულებული;
  - ✓ გააკონტროლოს შპს ბუსსს ანრის პროფესიული სტუდენტების (მსმენელების) ფორმაში ყოფნა სასწავლებლის ტერიტორიაზე
  - ✓ გააკონტროლოს სიგარეტის მხოლოს ამისთვის განკუთვნილ ადგილებზე მოწვევა;
  - ✓ დაიცვას სისუფთავე და წესრიგი საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე და სასწავლებლის ტერიტორიაზე;
  - ✓ ყურადღება მიაქციოს ხანძრის კერის წარმოქმნას სანაგვე ყუთებსა და მოწვევისთვის განკუთვნილ ადგილებში;
  - ✓ მოაწოდოს მორიგეს საჭირო ინფორმაცია შპს ბუსსს ანრის ტერიტორიაზე არსებული ვითარების შესახებ;
  - ✓ მორიგეობის დამთავრების შესახებ მორიგის თანაშემწე მოახსენებს საკონტროლო - გამშვები პუნქტის მორიგეს და მისი ნებართვით ტოვებს შპს ბუსსს ანრის ტერიტორიას.
  - ✓ საკონტროლო გამშვებ პუნქტზე მორიგის თანაშემწის მორიგეობის დროა, დილის 9<sup>00</sup> საათიდან 14<sup>00</sup> საათამდე.
- 6) არსებული ინსტრუქციას ადგენს შინაგანაწესისა და ვახტის უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.
- 7) არსებული ინსტრუქცია, ამონაწერის სახით, რომელსაც მინიჭებული აქვს მოქმედი ფორმის ნომერი და დამტკიცებულია გენერალური დირექტორის მიერ გამოკრულია საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე თვალსაჩინო ადგილზე.
- 8) ინსტრუქციის განახლება ხდება საჭიროებისამებრ შინაგანაწესისა და ვახტის უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის მიერ.
- 9) თუ ინსტრუქციაში არ ხდება რაიმე ცვლილების შეტანა, ამონაწერის აუცილებელი გადახედვა/განახლება ხდება 3 წელიწადში ერთხელ.

### 9. პროფესიული სტუდენტების მორიგეობა

შპს ბუსსს ანრის პროფესიულ სტუდენტებს ევალებათ მორიგეობა (ვახტაზე დგომა). მორიგეობის წესები, ინსტრუქციაში და სხვა რეგულაციები შემუშავებული და დამტკიცებული გენერალური დირექტორის მიერ უნდა იყოს გამოკრული ვახტის გაწვევის პუნქტზე (გამშვები პუნქტი). ვახტაზე პროფესიული სტუდენტების მორიგეობის წესებში გაწერილია მორიგე პროფესიული სტუდენტის ვალდებულებები, უფლებები და ა.შ.

#### 9.1 ვახტაზე პროფესიული სტუდენტების მორიგეობის წესი



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ვახტის და შრომის უსაფრთხოების  
უზრუნველყოფის განყოფილების დებულება

**Regulation for the Watchkeeping and Labor Security Provision Department**

პროფესიული სტუდენტი, რომელიც დგას მორიგედ შპს ბუსსს ანრის ტერიტორიის შემოსასვლელ საკონტროლო პუნქტზე, ვალდებულია დაიცვას მორიგისადმი წაყენებული შემდეგი მოთხოვნები:

**მორიგე ვალდებულება:**

- 1) სამორიგეოდ გამოცხადდეს განრიგის მიხედვით დროულად, მოწესრიგებული, მორიგის სამკერდე ნიშნით(ან სამოქალაქო ტანსაცმლით);
- 2) ყველა შემოსულ პირს მოეპყოს პატივისცემითა და მოკრძალებით, პედაგოგებსა და უფროსებს მიესალმოს ფეხზე წამოდგომით.
- 3) გარეშე პირის მოსვლის შემთხვევაში გაიგოს მოსვლის მიზეზი და ვისთან მოვიდა. საჭიროების შემთხვევაში მოახსენოს შესაბამის პირს. შემოსული გარეშე პირი ტერიტორიაზე შემოშვების შემთხვევაში დაარეგისტრიროს სამორიგეო ჟურნალში (მოსვლისა და წასვლის დრო), ვისთან მოვიდა, გასცეს მასზე საშვი და უკან გამობრუნებისას ჩამოართვას იგი.
- 4) გაუგებარი სიტუაციის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს განყოფილების უფროსს ან სხვა პასუხისმგებელ პირს.
- 5) დაიცვას წესრიგი და სისუფთავე ტერიტორიაზე, მოუაროს სამორიგეო ჯიხურში არსებულ ინვენტარს.
- 6) სასწავლო პროცესის დროს გარეშე პირთა შემოსვლა დაარეგულიროს მხოლოდ პასუხისმგებელ პირთან შეთანხმებით.
- 7) მორიგეობის დასრულების შემთხვევაში მორიგეობა გადააბაროს მომდევნო ცვლას.
- 8) არ შემოუშვას ტერიტორიაზე გარეშე პირი

**მორიგეს ეკრძალება:**

- 1) ნასვამ მდგომარეობაში მოსვლა, ან ვახტაზე დგომის დროს ალკოჰოლური სასმელების მიღება.
- 2) მორიგეობის არასაკატიო მიზეზით გაცდენა, დაგვიანება, უნებართოდ მორიგეობის მიტოვება.
- 3) სამორიგეო ჯიხურში გარეშე პირთა შეშვება.

**მორიგის უფლებები:**

- 1) ითხოვოს მორიგეობის შეცვლა სააკატიო მიზეზის წარმოდგენისა და მისი დასაბუთების შემთხვევაში არაუგვიანეს 1 დღით ადრე მორიგეობამდე.
  - 2) მოითხოვოს კეთილმოწყობილი საკონტროლო გამშვებ პუნქტის ჯიხური, და მორიგეობისათვის საჭირო ყველა ატრიბუტიკა.
- 9.2 არსებული წესს ადგენს შინაგანაწესისა და ვახტის უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.
- 9.3 არსებული წესი, ამონაწერის სახით, რომელსაც მინიჭებული აქვს მოქმედი ფორმის ნომერი და დამტკიცებულია გენერალური დირექტორის მიერ გამოკრულია საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე თვალსაჩინო ადგილზე.
- 9.4 წესის განახლება ხდება საჭიროებისამებრ შინაგანაწესისა და ვახტის უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის მიერ.
- 9.5 თუ წესში არ ხდება რაიმე ცვლილების შეტანა, ამონაწერის აუცილებელი გადახედვა/განახლება ხდება 3 წელიწადში ერთელ.

## 10. შემოწმება და კონტროლი

წინამდებარე დებულების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს შინაგანაწესისა და ვახტის უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი და ხარისხის სამსახური. დებულების პერიოდული შემოწმება ხორციელდება შიდა და გარე აუდიტის დროს.